წელიწადი 1-ლი  გაზ. ფასი 3 შაური.  ტელეფონი № 76.  ოთხშაბათი ნოემბრის 8—(21) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . [illegible] თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტი ღირს . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 170  ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი  № 170

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის

# სია № 8

## რუსეთის დამფუძნებელ კრებისთვის

1. **კედია** სპირდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჰავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი-მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი,
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფაელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო გიმნაზიისა,
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციასთან.

---

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წყალ-გამოღმა) უბნის კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის: თბილისის ქუჩა ქუთაისის საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების დარბაზში—სამსონ ბოკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დილის 10—1-დე და საღამოს 5—8-დე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი, რუსერის 2 დამზღვევ საზოგადოების სააგენტოში.** იქვე დაარსებულია სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

---

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გურია).

ამით აცხადებს, რომ წევრათ ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2—5 საათამდე პარტიის კლუბში.

---

# ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

---

# ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

---

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია საპნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშვალება **„ქირონი"**, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.

---

# განცხადება.

დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ვინაიდან უთანხმოება, რომელიც ჩამოვარდა კორძაიას კერძო გიმნაზიის გამგის და მასწავლებელთა შორის, ვერ დასრულდა სასურველად, გამგეობა იძულებული არის ამ მასწავლებლების ადგილი კორძაიას გიმნაზიაში გამოაცხადოს „ბოიკოტ" ქვეშ, მაგრამ გამგეობა, იღებს რა მხედველობაში ძველი მასწავლებლების და მოწაფეების მდგომარეობას, ხსნის მათთვის კერძო გიმნაზიას

წელს გაიხსნება ხუთი კლასი, ეს გიმნაზია დროებით მოთავსებული იქნება ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლის შენობაში, სწავლა დაიწყება 13 ნოემბერს.

---

**ექიმი** **ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

---

## ექიმი

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

---

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

---

# განცხადება.

ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა, ჰეიშვილის სახლი, მიხეილ კაშიას მიმართეთ ვისაც თვალები გტკივათ ანუ თეთრი გაქვთ გადაკრული, რომელმაც მე მომირჩინა თვალის ტკივილით დაბრმავებული ბავში უპერაციოთ. ამისათვის ვაცხადებ, ვწერ მადლობით და პატივისცემით ვარლამ ჯანელიძე.

---

# დამფუძნებელი კრება.

2

წინეთ ვთქვით, დამფუძნებელი კრება არ მოგვანიჭებს იმ უფლებას, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის, ვერ გამოგვნახავს იარაღით დასერილ მამულის განსაკურნავად.

მაშ რისთვისღა ვსცდილობთ, რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი გავგზავნოთ დამფუძნებელ კრებაზე?

ჩვენი პირ-ვარამი, საქართველოს კითხვა ჯერ რუსეთის ფართო საზოგადოებამ არ იცის, არ იცის აგრეთვე რუსეთმა. სიტყვა თქმული დამფუძნებელ კრებაზე ელვის სისწრაფით მოედება ქვეყანას და როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გაგვიწიოს საქართველოს მტრებმა, ჭეშმარიტების შუქი თუ ვერ განფანტავს ბნელეთს, ყოველ შემთხვევაში შეასუსტებს ქართველობის წინააღმდეგ მოქმედებას.

დღემდე მთელს რუსეთს და ევროპასაც ჰგონია, რომ ქართველმა ერმა დაივიწყა თავისი ენა და თვისი კულტურა, რომ ქართველი ერი უარყოფს ეროვნულ უფლებას და სურს რუსეთის მხოლოდ ღუბერნიად, უმნიშვნელო ნაწილად დარჩეს... ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ არჩეული პირები რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე საჯიროთ განაცხადებენ, რომ ჩვენ ერს წარმოვადგენთ განსაკუთრებულის უფლებებით, ენით, ზნე ჩვეულებით მაღალი კულტურით და ისტორიული დამსახურებით; რომ ამ ერს სურს სხვისი მზრუნველობიდან განთავისუფლდეს, რათა თვით მოაწყოს თვისი საქმეები საკუთარის ჭკუისა და გამჭრიახობის მიხედვით... ასეთს თამამს და დასაბუთებულს განცხადებას შედეგათ სხვა თუ არა, პატივისცემა ერისადმი მაინც მოჰყვება და ჩვენ არ აგვრევენ იმ უტყვ ჩამორჩენილ ერებში რომელნიც მრავლად დახეტიალობს აფრიკის უდაბნოებში...

თუ ჩვენს წარმომადგენელს დამფუძნებელ კრებაზეა ასეთი მნიშვნელობა აქვს, კიდევ უმეტესი თვით მზადება არჩევნებისათვის.

დღეს ყველას განსაკუთრებული გამახვილებული აქვს სმენა... დღეს განსაკთორებულათ ფიქრობენ სხვადასხვა პროგრამაზე. აი ამ დროს თავისი აზრის ფართო საზოგადოებაში ქადაგებას შეუძლია დაკარგული დრო მოგვაგებინოს, შეუძლია ის გაგვაკეთებინოს, რაც სხვა პარტიებში წლობით მოხვეჰქს....

ჩვენს მოვალეობას შეადგენს სრულის გულწრფელობით გადავცეთ ხალხს ჩვენი აზრი და მისწრაფება და მოვითხოვოთ, რომ მოწინაამდეგეებმაც დაწვრილებით, წრფელად გამოამჟღავნონ საკუთარი პროგრამები და **არ მიჩქმალონ ის, რაც ხალხს არ სურს, არ მიიწერონ ის, რაც მათ მიმართულებას არ შეეფერება.**

ხაზს უსვამთ უკანასკნელ სიტყვებს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სრული გამარჯვება სწორეთ მაშინ მოხდება, როცა ჩვენში მომქმედ პარტიათა **ნამდვილ** გულის პასუხს გაიგებს უმრავლესობა, რომელიც დღემდე მხოლოდ იმიტომ ემხრობოდა სოციალისტურ პარტიებს, რომ სავსებით არ იცოდა მათი მიდრეკილება...

ეხლა კი სხვა დრო დადგა... სოციალისტურ პარტიებს მადლობა უნდა უთხრათ იმ თავგადადებულ ბრძოლისათვის, რომელსაც ისინი ეწეოდნენ ძველი წესწყობილების დარღვევისათვის, რომანოვების ტახტიდან ჩამოგდებისათვის ხალხის განთავისუფლებისათვის, მაგრამ განთავისუფლებულ ქვეყნისთვის საუკეთესო ახალი სახელმწიფო წყობილების გამონახვა, მყუდრო ცხოვრებისთვის პირობების შექმნა არ შეუძლია სოციალისტურ პარტიას, რომელიც ემყარება **მხოლოდ და მარტო** კლასობრივ ბრძოლას.

გზის გასაყვანად კლდეს ანგრევს მელალუმე, ხოლო ლიანდაგის დაგება და ორთქლმავალის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს მემანქანეს!

ვაი იმ ხალხს, რომელიც მოინდომებს ლალუმის მოწყობა მემანქანეს მიანდოს და ოთქმავალზე დასვას მელალუმე!

დაუკვირდეთ ამას!..

Argon"

---

# მიწის საკითხის შესახებ.

## მიწის მუშებო!

მოისმინეთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიტყვა მიწის შესახებ

ჩვენ ვამბობთ:

1) არ უნდა მოისპოს კერძო საკუთრება მიწაზე.

2) მესაკუთრეს საკუთარი მიწის გაყიდვისა და სხვისი მიწის ყიდვის უფლება უნდა ჰქონდეს.

3) მიწის მუშამ არ უნდა იხადოს განსაკუთრებული იჯარა, ანუ რენტა, ხაზინის სასარგებლოდ, რადგან ამგვარი ბეგარა მას მძიმე ტვირთად დააწვება და გაალატაკებს, საკუთრებას ხელიდან გამოაცლის, გააპროლეტარებს. ჩვენ მიწის მუშების გაპროლეტარება კი არა გვსურს, არამედ მათი საკუთრების გადიდება.

4) დიდ მემამულეებს გარკვეულ წყვეტილ ზომაზე მეტი მიწები უნდა ჩამოერთვას. რამდენი უნდა ჩამოერთვას? ამას გადასწყვეტენ თვით ხალხისგან არჩეული წარმომადგენლები. **ჩამორთმეული მიწები კი უნდა გადაეცეს მცირე მამულიან მიწის მუშებს-კერძო საკუთრებად.**

5) მემამულეებს, რომელთაც მიწები ჩამოერთმევათ, უნდა მიეცეს ხაზინიდან სასყიდელი. ხოლო მამულები უნდა შეაფასონ ადგილობრივ მცხოვრებთაგან არჩეულმა კომიტეტებმა.

რატომ არ ჩამოერთმევათ დიდ მემამულეებს მიწები უსასყიდლოდ? ჯერ ერთი, მიტომ, რომ მათი მამულების დიდი უმეტესობა ბანკებშია დაგირავებული, ბანკების ბილეთები კი ინგლისელების, ფრანგებისა და სხვა უცხოელების ხელშია. იმავე დროს ბევრი დიდი მამულის მიწა უცხოელებშივე იყიდეს და დაიმტკიცეს. და მათ რომ მიწები უსასყიდლოდ წავართვათ, უცხო სახელმწიფოები ომს გამოგვიცხადებენ. მაშასადამე, ის პარტიები, რომელნიც ეუბნებიან მიწის მუშებს, მამულები უფასოდ დაგირიგდებათო, ისეთს რასმე პირებიდან, რის ასრულებაც არ შეუძლიათ.

მეორე: უსასყიდლოდ მიწების ჩამორთმევა კერძო საკუთრების საფუძვლის დანგრევა იქნებოდა: თუ დღეს ისეთ მემამულეს ჩამოვართმევთ მიწას, რომელსაც 200 ქცევა აქვს, ხვალ ათი ქცევის პატრონი მოითხოვს, რომ ოცი ქცევის პატრონს ჩამოერთვას ზედმეტი და მიწის-მუშთა შორის დაუსრულებელი დავა და განხეთქილება ჩამოვარდება. მეორე მხრით, ერთი მესაკუთრის მამულს რომ ჩამოვსჭრათ და მეორეს მივაკუთნოთ, პირველის მოსახლობაც დაინგრევა და ვერც მეორე

მოუვლის რიგიანად მუქთად შეძენილ მიწას. და, ამგვარი გადაჭრა და გადაწყვეტა, წართმევა და გადაყოფა თუ დაუბოლოებელი და დაუსრულებელი იქნება, მიწას აღარავინ აღარ გაა[illegible], აღარ აპატივებს, აღარ შემორაგავს, აღარ გააშენებს ზედ ვენახს, ბაღსა და სხ. და მიწის-მოქმედება თანდათან უფრო და უფრო უარესი შეიქნება.

და, მესამე, უსასყიდლოდ მიწის შეძენა მომთვისებელს მუქთახორობის, მუქთაცხებლობის ადათს გაუღვიძებს; იმავე დროს, შესაძლებელია, რომ, ვინც დღეს მუქთად შეიძენს მამულს, ხვალვე მიჰყიდოს სხვას.

იმ მცირე მამულიან მიწისმუშებს, რომელნიც კი ჩამორთმეული მიწების შეძენის მოინდომებენ, სახელმწიფო დაეხმარება: ხაზინა გადაუხდის დიდ მემამულეებს მიწების გამოსასყიდელ ფასსა, მიწისმუშები კი ამ ვალს გადიხდიან წვრილ-წვრილად ოციდან ორმოცი წლის განმავლობაში, ეს წლიური გადასახადი ერთობ მცირე იქნება. ამიტომ მიწისმუშებს სრულიადაც არ გაუჭირდებათ ვალის გასტუმრება. ჯერ ძველ დროსაც კი, როდესაც არავინ არ ეხმარებოდა, ბევრი მამული იყიდეს დიდი მემამულეებისაგან. და, როდესაც მამულების დაფასებაცა და ვალის გადახდის დაწესებაც თვით ხალხისაგან არჩეული წარმომადგენლების საქმე იქნება და იმავე დროს ხაზინა ფულს დიდი ვადით და იაფად ასესხებს, მაშინ ხომ აღარავის გაუძნელდება მამულის ყიდვა.

როდესაც მიწის მუშები მამულებს შეისყიდიან, ეს შესყიდული მამულები მათ საკუთრებად დარჩებათ.

მიწისმუშას ან სხვა მემამულეს, რომელსაც არა ჰყავს თავის ოჯახში საკმაო მუშახელი, უფლება უნდა ჰქონდეს დაიმუშაოს თავისი მიწები დაქირავებული მუშების ხელით. რატომ! ჯერ ერთი, მიტომ, რომ მიწა არის ერთადერთი წყარო მესაკუთრის რჩენისა; მეორე, გაუმჯობესებული მიწისმოქმედებისათვის, პატარა მამულზე ბევრი მუშახელია საჭირო და, თუ მუშების დაქირავება აკრძალული იქნება, მიწისმოქმედება აღარ გაუმჯობესდება და საერთო სილატაკე და სიღარიბე ჩამოვარდება; და, მესამე, მუშების დაქირავება რომ აიკრძალოს, რითი-ღა უნდა იცხოვრონ იმ მუშებმა, რომელთაც მათს მიწებზე საკმაო სარჩო არ მოსდით!! ხომ შიმშილისაგან დაიხოცებიან!! და ეს ხომ ხელს შეუშლის ხალხის გამრავლებას, რომელიც არის უმთავრესი მიზეზი ეკონომიური წარმატებისა!

დასასრულ, საქართველოში მიწების ჩამორთმევისა და განაწილების საქმე ქართველი ხალხისაგან არჩეულმა წარმომადგენლობამ, ანუ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, უნდა გადასწყვიტოს და არა რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ.

რუსეთში დიდი ხნიდან იყო და დღესაც არის ჩვეულება, რომ მიწისმუშები მიწებს დრო გამოშვებით გაიყოფენ ხოლმე ერთმანეთის შორის. ამიტომ მიაჩნიათ რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს საჭიროდ მამულების დროგამოშვებითი გაყოფა. და, ეს საქმე თუ რუსეთის დამფუძნებელ კრებას მივანდევით, ხსენებული კრება ჩვენთვისაც დააწესებს, დააკანონებს მიწების დროგამოშვებით გაყოფას მესაკუთრეთა შორის. ეს წესი კი სრულიადაც არ შეეფერება ჩვენს ცხოვრებას.

მაშასადამე, ჩვენი მიზანი არის: **მიწა მიწის მუშებს კერძო საკუთრებად და მიწის განაწილების საქმის გადაწყვეტა ქართველი ხალხის წარმომადგენლობის მიერ.**

მაშ გაუმარჯოს მესაკუთრე მიწისმუშას! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში! გაუმარჯოს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას!

მიწისმუშებო!

ვისაც გწამსთ, რომ მიწა უნდა ჰქონდეს მიწისმუშებს, როგორც კერძო საკუთრება, და არა, როგორც ზიარი ან სარჯარო ქონება, მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას, ე. ი. მერვე ნუმერს (№ 8).

## განხეთქილება მმართველობაში.

რუსეთი განუსაზღვრელ რყევის და დაუსრულებელ კრიზისების წინაშე სდგას.

რევოლუციაში ეტაპები ჩქარ ჩქარა იცვლებიან, მაგრამ საქმე ის არის, რომ თითქმის მოუხერხებელი ხდება ანორმალურ ახლდაგებულ ცხოვრებისთვის, რაიმე გარკვეულ სახის მიცემა, მტკიცე საყოველთაო ავტორიტეტულ გამგებლობის დაწესება.

როდესაც ღრმად აკვირდებით რუსეთის აწინდელ ყოფას, უნებლიეთ ამბობთ, რომ განვლებს რუსეთი ანარქიისთვის გაუბოძებიათ.

მართველ-გამგეობას სათავეში უდგა კოალიციური სამინისტრო. ერთ დროს მას რუსეთის მხსნელად სთვლიდენ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა.

დღეს კოალიციურ მმართველობას ყველა სასტიკათ ასამართლებს.

სოციალ-დემოკრატიის მეუმრავლესე ფრთა, რომელიც ხალხს აღუთქვამდა სასწრაფოთ ზავს და პურს, თავიდან წინააღმდეგი იყო კოალიციისა, იგი უარყოფდა ყოველგვარ კომპრომისს და ერთფეროვან სოციალისტურ მთავრობას მოითხოვდა.

ივლისის დღეებში მეუმრავლესეთ აჯანყებაც მოახდინეს, მაგრამ მაშინ იგი ადვილათ ჩააქვრეს.

ოქტომბრის 25—26-ს მეუმრავლესენი პეტრეს ქალაქში მძლავრათ გამოვიდნენ და მთავრობის საჭეს ხელი დაავლეს. დაიღვარა დიდი სისხლი.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ველოდით ცენტრალ რუსეთში მაინც ბოლშევიკების გამგებლობის განმტკიცებას, პეტრეს ქალაქიდან ცნობა მოვიდა, რომ სახალხო კომისართა საბჭოში და რევოლუციურ კომიტეტში განხეთქილება მომხდარა.

საბჭოდან წასულან: ლუნაჩარსკი, რიკოვი, თეოდოროვიჩი, შლიაპნიკოვი და სხვანი.

ჯერ არ ვიცით ნამდვილი მიზეზი მომხდარ რასკოლისა.

მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, რომ სიტყვებსა და საქმეს შორის დიდი ზღვარია.

ბოლშევიკების ლამაზ და მიმზიდველ სიტყვებს ცხოვრება აცამტვერებს, რომელიც ყოველთვის საუკეთესო მასწავლებელი და გზის მაჩვენებელია.

ყველაზე საინტერესო, რასაკვირველია, ის არის, თუ ვინ გამოჩნდება ანარქიულ სცენაზე.

ივლისის ამბოხებას კორნილოვის გამოსვლა მოჰყვა.

ვერვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ რუსეთის რევოლუციას არ ეყოლება ბონაპარტები და სხვა გმირები.

რევოლუციის მსვლელობა ამას გვაჩვენებს.

ირ—დი.

## ორი რუსეთი.

ამ ჟამად რუსეთი რამდენიმე სამტროთ ნაწილათ დაიყო.

ამის ნამდვილ მიზეზს თვითონ რუსეთში ვერ პოულობენ.

ბევრი ამტკიცებს, რომ ეს შედეგია უკიდურეს კლასთა შეტაკებისა.

არიან ისეთები, რომლებიც ამბობენ, რომ რუსეთის დაწეწვა—დაგლეჯა მიეწერება იმას, რომ რევოლუცია არ მიმდინარეობდა ეროვნული და ბუნებრივ თანდათანობითი განვითარების გზით.

ჩვენ მიზეზის გამოაშკარავებას არ შეუდგებით. სახელმწიფოს დაქუცმაცების პროცესმა უმთავრეს საფეხურს მიაღწია და ჩვენც მის შესახებ ვიტყვით ორიოდე სიტყვას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ „დაქსაქსული რუსეთი" ორ განსაკუთრებულ ერთეულად წარმოდგა.

ერთი მხრით ჩვენ ვხედავთ რუსეთს „მეუმრავლესე" სოციალ-დემოკრატიისას, რომელიც ახლავე მოითხოვს სოციალისტურ მმართველობის დამყარებას, მიწით მფლობელობაში კერძო საკუთრების გაუქმებას, განაგრძლივებულ ომისგან გაწამებულ ხალხს პირდება სასწრაფოთ ზავს და პურით დაკმაყოფილებას.

მეუმრავლესეთ ზურგს უმაგრებს ქალაქის პროლეტარიატი და სამხედრო ძალა.

მეორე რუსეთი ასეთია: ესერები, მეუმცირესე სოც. დ—ბი, კადეტები და დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია. ესენი დღეს დღეობით ბოლშევიკებთან ბრძოლაში ერთად არიან და ისინი სოციალისტურ ტენდენციებს რუსეთისთვის დამღუპველათ სთვლიან.

მეორე რუსეთს ეკედლება მთელი მესაკუთრე სოფლის გლეხობა და მათვე მხარს დაუჭერს ყაზახობა.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ამ ძალთა შედავება და შეტაკება სამოქალაქო ომის დამწყები იქნება [illegible].

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წყალგალმა უბნის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს ნოემბრის 8-ს ქართულ გიმნაზიის დარბაზში მომენტის შესახებ მოხსენებას წაიკითხავენ **ტრიფონ ჯაფარიძე** და **ნიკო ლორთქიფანიძე.**

მოხსენების შემდეგ გაიმართება შეკითხვები.

ეს ასეც არის, პეტრეს ქალაქს და მოსკოვს უკვე მოედო სამოქალაქო ომის ცეცხლი.

პეტრეს ქალაქში კიდეც შესდგა ერთფეროვანი ბოლშევიკური მმართველობა და მმართველობის დეკრეტიც დაისტამბა პრესაში. განმტკიცდება მთელ რუსეთში მეუმრავლესეთა გამგებლობა თუ არა, ჯერ ამის თქმა, რასაკვირველია არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება თქმა, თუ როგორ ნაყოფს მოიტანს დაწყებული მოლაპარაკება.

სხვათა შორის მოსალოდნელია ყველა სოციალისტურ მიმდინარეობათა შეთანხმება და მათ შორის კომპრომისი.

ამ დროს არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს ასეთი ნაბიჯი იხსნიდეს რუსეთს კარ-მომდგარ რეაქციისგან, რადგან მთელი რუსეთი მარტო სოციალისტებისგან არ შესდგება.

ბოლშევიკების გამგებლობამ გამოსცა დეკრეტი დიდ მიწათ-მფლობელობის გამოუსყიდველად ჩამორთმევისა; დეკრეტი მიწებს არ ართმევს მხოლოთ ჯარისკაცებს და ყაზახებს.

მმართველობამ კვლავ მიმართა ყველა ქვეყნის მებრძოლთ ხალხთა წინადადებით და მოითხოვა დაუყონებლივ დემოკრატიული ზავი.

ბოლშევიკები ყველა ეროვნებათ, რომელთაც კი ამას მოისურვებენ უფლებას აძლევენ თვითონვე გამოეყონ და იმ სახელმწიფოს შეუერთდნენ, რომელიც მისი აზრით მისთვის უფრო ხელსაყრელია.

პირადათ ჩვენ არ ვკისრულობთ ბოლშევიკების დახასიათებას. აქ მოვიყვანთ პლეხანოვის გაზ: „ედინსტვო"-ს. იგი სწერს: „ბოლშევიკები გამოვიდნენ, ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, მაგრამ მათი კრიზისი სულ მოკლე ხანში დაიწყება.

ერთ მიტინგზე, როდესაც ლენინი ხალხს ენტუზიასტურად აღუთქვამდა, რომ ჩვენ ყველა სახელმწიფოს მივმართავთ დემოკრატიული ზავის ჩამოსაგდებათ, შეეკითხნენ მას, თუ არ დათანხმდენ მებრძოლი სახელმწიფონი ჩვენს მიერ ნაკარნახევ ზავს მაშინ რაღა ვქნათო? ლენინმა ასეთი პასუხი მისცა: „მაშინ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, არა მარტო გერმანეთის წინააღმდეგ, არამედ ყველა იმპერიალისტების წინააღმდეგ"-ო. ამ პასუხმა კი პესიმიზმი და ჩაფიქრება გამოიწვია ხალხში.

ნახევრად ლენინისტური „ნოვაია ჟიზნ" სწერს: „ლოზუნგი ბოლშევიკებისა ძვირფასი იყო, მას მრავალი მილიონიანი მასა გაჰყვება, მაგრამ როდესაც დადგება დრო საქმით დანაპირების განიღდებისა, მაშინ ვნახავთ, თუ რის შემძლებლები არიან ბოლშევიკები, როგორ ამტკიცებენ ისინი საერთო სამართლიანობას სოციალიზმის სახისას!!

ჩვენთვის სრულიად უცხოა „ბოლშევიკური სულის კვეთება".

ქართველი კაცი ყოველთვის ზომიერი იყო, საქართველოში „ბოლშევიზმს" ადგილი არ აქვს, ამიტომ როცა ვლაპარაკობთ მის შესახებ, ვიმოწმებთ რუსულ პრესას, რადგან ჩვენ არც შეგვიძლია ისეთ მოძღვრებაზე განსაკუთრებული აზრი გამოვსთქვათ, რომელსაც საქართველოსთან საერთო არაფერი აქვს.

ასე, როგორც ზემოთ ვსთქვით, რუსეთი დიდ სამტრო ბანაკათ არის დაყოფილი და ვნახოთ რა გზას დაადგებიან ეს ერთმანეთისადმი შეურიგებლად დაპირდაპირებული ბანაკები.

ი. დ—ძე.

ქართველო ხალხო! წყდება შენი ბედი. ხმა მიეცი № 8.

## ქართული პრესა

გაზეთ „ალიონში" იბეჭდება საყურადღებო წერილები ივ. გომართელისა, რომელიც თავგამოდებით იცავს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას და არკვევს ჩვენებურ სოციალ-დემოკრატების ორპირობას ამ საკითხისადმი. აი რასა სწერს, სხვათა შორის ბ-ნი გომართელი:

ამგვარათ ნ. ჟორდანიამ დაიწყო ტერიტორიალური პრინციპის უარყოფით, მივიდა ისევ ტერიტორიასთან და გამოაცხადა: ნაციონალური უფლება ქალაქზე რჩება, თუ მართველობა ტერიტორიაზე არ არის დაფუძნებულიო.

აქედან ლოგიკური დასკვნაა ერთი ერი—ერთი სახელმწიფო ე. ი. ერთ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივის უფლებით უნდა იყოს აღჭურვილი მხოლოდ ერთი ერი.

რომელი ერი?

რომელსაც ეს ტერიტორია ეკუთვნის. უკანასკნელმა პარტიულმა ყრილობამ მიიღო ეროვნულ საკითხში ეროვნულ ტერიტორიალური თვითმართველობა, რომელიც ეროვნულ ცხოვრებას მიუძღვის არა საკუთარის სახელმწიფოებრივის უფლებით, არამედ სახელმწიფოს დავალებით.

ე. ი. თვითმართველობა არის უმაღლეს მთავრობის აღმასრულებელი ორგანო: არავითარი საკანონმდებლო უფლება მას არა აქვს. ის ასრულებს იმას, რასაც ცენტრალური მთავრობა უკავალებს. ერთის სიტყვით ახალი თვითმართველობა არის იგივე ერობა, რომელსაც ეკუთვნის სასამართლო თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე, აქვს უფლება ადგილობრივ მუშათა და აგრარული კანონმდებლობისა და აგრეთვე საკანონმდებლო თაოსნობა ე. ი. შუამდგომლობის აღძვრა მთავრობისათვის, [illegible]. სულ მოკლე ხანში პარტიამ მიიღო „აგრეთვე ავტონომია". ასე იცვლებოდა შეხედულება ეროვნულ საკითხზე პარტიაში. პარტიამ დაიწყო ეროვნული საკითხისადმი სრული უყურადღებობით და დღეს კი აღიარა ის დიდ საკითხათ. პარტიამ დაიწყო ტერიტორიალური პრინციპის უარყოფით და დღეს კი მიიღო ტერიტორიალური პრინციპი.

მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ ეროვნული საკითხი ვერ შეესისხლხორცა პარტიას, ვერ ჩასწვდა იმის გულს.

პარტია გაჰყვა ეროვნული საკითხის გარეშე, ცხოვრებამ ძალაუნებურად მოახვია პარტიას ეს საკითხი და ამიტომ ვერ გადაიქცა ის დღემდე პარტიის ღვიძლ საკითხათ.

პარტიას უნდა, რომ ეროვნული საკითხი ხელიდან არ წაუვიდეს და ისე მაგრათ უჭერს ხელს ეროვნულ თავისუფლებას, რომ ეს თავისუფლებას, რომ ეს თავისუფლება პარტიის ხელში სულს ჰლაფავს.

ქვეშევრდომს არა აქვს უფლება, მას აქვს მხოლოდ მოვალეობა.

აი ერთი მთავარი დებულება თვითმპყრობელობისა.

თუ ამ დებულებას გადავიტანთ ერზე მივაღწევთ შემდეგს:

ერს არა აქვს უფლება, მას აქვს მხოლოდ მოვალეობა.

აი სწორეთ ამგვარმა შეხედულებამ გაიმარჯვა პარტიის ყრილობაზე და ასეთი შეხედულების ნაყოფია ეროვნულ ტერიტორიალური თვითმართველობა. მართლადაც რა არის შინაარსი ამ თვითმართველობისა? აღნუსხვა ქართველი ერის იმ მოვალეობათა, რომლებსაც მას ცენტრალური მთავრობა დააკისრებს, დაავალებს.

რეზოლუციაში ხაზგასმულია: თვითმართველობა მოქმედებს არა საკუთარის სახელმწიფოებრივის უფლებით, არამედ სახელმწიფოს ე. ი. მთავრობის დავალებით.

ჩვენ მოვითხოვთ ქართველი ერის ეროვნულ უფლებებს, ჩვენ კი ხელში გვაჩრიან მორჩილის, ხელქვეითის მოვალეობას!

ქართველმა ერმა თვისი მოვალეობანი თვითონ იცის და ცენტრალურ მთავრობის მიერ მათ აღნუსხვას, მათზე მითითებას არ საჭიროებს.

ქართველ ერს აქვს ერთი უდიდესი და უპირველესი მოვალეობა: ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის და ამ თავისუფლების მიღწევა.

ხოლო ქართველ ერს აქვს ერთი უდიდესი უფლება: ისე მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება, როგორც მას ნებავს, როგორც ეს თვითონ დაინახავს საუმჯობესოთ.

პარტიის ყრილობაზე მიღებული ეროვნულ ტერიტორიალური თვითმართველობა წარმოადგენს ქართველ ერს, რომელიც თავის სახლში, თავის მიწა წყალზე ხელ-ფეხ შებორკილია და თავისუფალი არ არის. ჩვენ კი გვინდა საქართველო სრულებით თავისუფალი რუსეთის რესპუბლიკის მფარველობას ქვეშ, საქართველო სრულებით დამოუკიდებელი თავის შინაურ ცხოვრებაში, ქართველი დემოკრატია საქართველოს სრულ-უფლებიანი გამგე და ბატონ პატრონი.

როგორ? თუ კი რუსეთის დემოკრატიის ირ. წერეთელი და კარლო ჩხეიძე მიუძღვიან და მეთაურობენ, განა ქართველ დემოკრატიის ქართველ ერს კი ნაკლების ნიჭით წაუძღვებიან?

ამიტომ მე და ჩემი თანამოაზრენი პარტიის მიერ მიღებულ უუფლებო თვითმართველობას ვუპირდაპირებთ სრულ პოლიტიკურ ავტონომიას ან თვითმართველობას. ეროვნულ საკითხის გადაჭრაში პარტია უარჰყოფდა როგორც ტერიტორიალურ პრინციპს, ისე ქართველი ერის საჯარო უფლებამოსილებას თავის მიწა წყალზე.

ეს კი ჩემის ღრმა რწმენით არის ნახევრათ გადაჭრა ეროვნული საკითხისა, გაბედული ნაბიჯის გადადგმისა ეროვნულ საკითხში, პარტიას ეშინია.

ეროვნულ საკითხში თუ უარჰყოფთ ერის უფლება მოსილებას ანუ როგორც ამბობენ სუვერენობას, უნდა უარჰყოთ ტერიტორიალური პრინციპიც და შეეჩერდეთ მარტო კულტურულ ავტონომიაზე. ხოლო თუ მიიღებთ ტერიტორიალურ პრინციპს, უნდა მიიღოთ უსათუოთ ერის უფლება-მოსილებაც მის ტერიტორიაზე.

№ 8 იბრძოლებს და იშრომებს, რათა ყოველ ქართველს ჰქონდეს საშვალება თვალ-ყური ადევნოს თავის წარმომადგენლებს, ვინაიდან იგი მოითხოვს თბილისში საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევას. ხმა მხოლოდ № 8.

## რუსული პრესა.

### ბოლშევიკების შესახებ.

„ედინსტვოში" დაბეჭდილია დიდი ღია ბარათი გ. პლეხანოვის პეტროგრადის მუშებისადმი.

„პეტროგრადის ამბები მე გულს მტკენენ, იმიტომ კი არა, რომ არ მინდოდეს მუშების გამარჯვება, პირიქით მთელი ჩემი სულით მე მოვესწრობოდი ამ გამარჯვებას, მხოლოდ დღევანდელი ამბები ძალიან უკან დასწევენ მუშათა კლასს". პლეხანოვი ათავებს ძველი მოწოდებით: „მთავრობა უნდა ემყარებოდეს ყველა ცოცხალ ძალების კოალიციას, ე. ი. ყველა კლასებს და ყველა წრეებს, რომელნიც არ არიან დაინტერესებული ძველი რეჟიმის დაბრუნებაში.

„ნაროდნოე სლოვო" ეხება ბოლშევიკების „დეკრეტს—ზავზე" და „მოწოდებას ზავზე". დეკრეტიც და მოწოდებაც გაზეთს მიაჩნია უხეირო ძალებით თავდასხმათ, ყოველ სტრიქონში გამოკრთის შეგნება საკუთარი უძლურობის, რომ მართლა მოახლოვებული იქნეს ნამდვილი ზავიო, ეს მხოლოდ ისტერიული კვნესაა".

„დელო ნაროდა" აღნიშნავს ს. რ. პოზიციას: 1) სრულად გადაცემა მიწის, 2) ენერგიული პოლიტიკა ზავის, 3) დაუყონებლივი მოწვევა დამფუძნებელი კრების, და მოითხოვს შეთანხმებას პლატფორმაზე.

„დაუყონებლივ უნდა შესდგეს ერთიანი სოციალისტური სამინისტრო, ბოლშევიკების და ცენზიან ელემენტების გამოკლებით. მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია თავიდან მოიშოროს ქვეყნის სამოქალაქო ომი, შეკრიბოს თავის გარშემო მთელი მშრომელი დემოკრატია, რომელიც არ არის დაბრმავებული ბოლშევიკების დემაგოგიით, ანდა რომელიც იწყებს თვალის ახელას და გაგებას ბოლშევიკების დაპირებათა ნამდვილი ფასის.

„**რაბოჩაი გაზეტა**" უფრო შეურიგებელია. გაზეთი აღნიშნავს იზოლაციას ბოლშევიკებისას „ყველასგან", რადგანაც: მთელი ტეხნიკური აპარატი სახელმწიფოსი ურის ამბობს სამსახურის გაგრძელებაზე. არც ფოსტას, არც ტელეგრაფს, არც რკინის გზას და სამინისტრო კანცელარიებს არ უნდათ, რომ იარაღი იქნეს შეთქმულთა ხელში. გაზეთი ათავებს მოწოდებით რომ თავი მოიყარონ რევოლუციის და მამულის დამხსნელ კომიტეტის გარშემო და შექმნან ის წყარო ახალი დემოკრატიული მთავრობისა".

„**პრავდა**" სწერს: გათავდა მეფობა ბურჟუაზიის. ახალ ცხოვრებას აწი თვითონ ხალხი დაუწყებს შენებას, რომელიც შექმნის სამეფოს განთავისუფლებულ შრომისას. დასრულდა თვითმპყრობელობა მემამულეების, კაპიტალისტთა თარეშობა, გათავდა ომები მოსისხლე ბურჟუაზიის.

„**იზვესტია**" ასე ათავებს წერილს: როგორაც არ უნდა გათავდეს ჩვენგან დაწყებული ბრძოლა რაც უნდა ახალი განსაცდელი არ გველოდეს მომავალში, ახალი პოზიცია სოციალიზმისთვის უკვე დაპყრობილია და სხქვეყნო ისტორიის ახალი ბრწყინვალე სტრიქონები ვადაიშალნენ...

# ბოლშევიკების დიქტატურა.

**„რუსკია ვედომოსტის" დახურვა.**

ბოლშევიკებს დილის 4 საათზე ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი მიუგზავნიათ „რუს. ვედ." სტამბაში და აუკრძალავთ ბეჭდვა. ჯარისკაცებსავე დაუჭერიათ ტელეფონი და რედაქციის ოთახები.

**საერთო დემოკრატიული თათბირი:**

დემოკრატიულმა საერთო თათბირმა გიორგობისთვის 3-ს მთელი დღე და ღამე გასტანა ბოლშევიკებმა თანხმობა განაცხადეს მოეწყოს სოციალისტურ პარტიებისაგან ცენტრალი აღმასრულებელი ორგანო, მაგრამ იმ პირობით, რომ გარეშე საქმეთა მინისტრად იყვეს ტროცკი, შინაგან საქმეთა მინისტრად ლენინი და სამხედრო საქმეებისაც ბოლშევიკი, რომლის გვარი არ დაასახელეს. კრებამ განაცხადა, რომ სწორედ დასახელებული კანდიდატების წინააღმდეგი ვართო.

**შეთანხმების საკითხი.**

გიორგობისთვის 3-ს თათბირს მენშევიკები და ესერები არ დაესწრნენ და მოითხოვეს, რომ სანამ შეთანხმების შესახებ ვითათბირებდეთ, მანამდისინ ტერორზე ხელი უნდა ავიღოთ. ამ განცხადებაზე ბოლშევიკებმა პასუხი არ გასცეს, შეთანხმების საქმე ბეწვზე ჰკიდია.

**კალედინი ვორონეჟში.**

კალედინმა, დონეცის ბასეინის დაჭერის შემდეგ, ლაშქარი ვორონეჟისაკენ გაგზავნა და ქალაქიც დაიჭირა.

**სისხლის ღვრა ყაზანში.**

ყაზანში დიდი სისხლის ღვრა მოხდა: ერთმანეთს ებრძოდნენ მოწინააღმდეგე მხარეების მხედრობის სხვადასხვა ნაწილები.

**ვერხოვსკის განცხადება.**

გენერალი ვერხოვსკი აცხადებს, რომ ბოლშევიკებმა ჩემს დაუკითხავად შეიტანეს ჩემი გვარი მინისტრთა კანდიდატების სიაშიაო. ვერხოვსკის არა სჯერა-რა ბოლშევიკებისა, რომელთაც მშვიდობიანობის მაგიერ ტერორი გააჩაღეს, პურის მიცემის ნაცვლად ხალხი დაამშიეს და სხ.

**ბრძოლა მოსკოვში.**

გადმოგვცემენ დაწვრილებით ცნობებს მოსკოვში მოხდარ ბრძოლის, შესახებ: ბრძოლა მოხდა სტუდენტების, ოფიცრების, იუნკრების და ბოლშევიკების შორის. მთავრობის ჯარმა თოფხანა დაიჭირა. მის ხელში იყო აგრეთვე კრემლი. ბოლშევიკებმა ცენტრიდან სანაპიროებისაკენ დაიხიეს. ლუბიანკასთან ხიშტებით შეტაკება მოხდა. გათენებისას ბოლშევიკებმა ლუბიანკა დასცალეს.

ოქტომბრის 28-ს შუადღის 2 საათზე მთავრობის ჯარმა მოიწადინა სასტუმრო „ნაციონალ"-ისა და „მეტროპოლ"-ის დაჭერა. შიგ ბოლშევიკები იდგნენ. სასტუმროებს ტყვიის მფრქვევლის სროლა აუტეხეს სროლა. 5 ს. გაგრძელდა. მთავრობის ჯარმა სასტუმრო „მეტროპოლი" დაიჭირა. ლვინობისთვის 28 წითელ გვარდიელებს წაართვეს 73 ტყვიის მფრქვეველი. სამხატვრო თეატრის ლაზარეთი სავსეა დაჭრილებით. 6 საათზე ყაზახებმა ზარბაზნები გაიტაცეს.

**მიწათ მოქმედების კომისარ მილიუტინის ბრძანება.**

გაზეთ „ნოვაია ჟიზნ"-ის ოქტომბრის 29-ის ნომერში მოყვანილია მიწათმოქმედების კომისარ მილიუტინის ბრძანება ადგილ-მამულების შესახებ. ხსენებული ბრძანება მიმართულია ყველა გუბერნიის თუ ოლქის მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთადმი. „ურილობამ დაადგინა, რომ ყველა მემამულეთ ჩამოერთვათ მიწები და სოფლის საზოგადოებათა საადგილ-მამულო კომიტეტებს და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს გადაეცემათ. ეხლა ამ დადგენილებების სისრულეში მოსაყვანად მოუწოდებთ ყველა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. მოიწვიონ საოლქო და საგუბერნიო თათბირი ზემოხსენებულ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებელ ზომების გამო ასამუშავებლად მიღებულ ფორმების შესახებ გთხოვთ ცნობებს: პეტროგრადი, სმოლნი.

რესპუბლიკის მთავრობის სახელით სახალხო კომისარი **ვ. მილიუტინი.**

---

დაწყევას და დაჭრას უპირებენ საქართველოს, საზღვრების მთლიანობის, საქართველოს სრულ-უფლებიანობის მომხრე მხოლოდ № 8 არის

---

# ბოლშევიკური მთავრობის გარშემო.

**(დეპეშები პირდაპირი მავთულით)**

ქუთაისის გუბერნიის კომისარმა გრიგოლ გიორგაძემ თბილისიდან პირდაპირი მავთულით ბოლშევიკების ახალი მთავრობის მდგომარეობის შესახებ შემდეგი ცნობები მიიღო. თბილისიდან კავკასიის ფრონტის კომისარი დონსკოი პეტროგრადს პირდაპირი მავთულით გამოელაპარაკა ჩერნოვს. ჩერნოვმა შემდეგი აცნობა:

**განხეთქილება სახალხო კომისრების საბჭოში.**

„ბოლშევიკების ახალ მმართველობის შემადგენლობაში განხეთქილება მოხდა. სახალხო კომისრების საბჭოდან გავიდნენ შემდეგი კომისრები: ლუნაჩარსკი, ნოგინი, რიკოვი, შლიაპნიკოვი, რიაზანოვი, თეოდოროვიჩი, დერბიშევი და მილიუტინი.

**განხეთქილება ცენტრალურ რევოლუციურ კომიტეტში.**

ასეთივე განხეთქილება მოხდა ცენტრალურ რევოლუციურ კომიტეტში, რომლის შემადგენლობიდან გავიდნენ ზინოვიევი და კამენევი.

**მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა.**

პეტროგრადში მოლაპარაკება სწარმოებს, რომ შედგენილ იქმნას ავტორიტეტული ცენტრი დემოკრატიული მთავრობისა.

**არეულობა პეტროგრადში.**

დღეს დღეობით პეტროგრადში მდგომარეობა ასეთია: მოხდა დარბევა იუნკერთა სასწავლებელში. იყო ქუჩებში სროლა.

**ა ნ ა რ ხ ი ა.**

ანარხია ფეხს ვერ იკიდებს რადგანაც ბოლშევიკები დაუნდობლათ ებრძვიან რბევისა და ძარცვა-გლეჯის მომწყობთ.

**ყაზახების ნეიტრალიტეტი.**

ყაზახებმა პეტროგრადში ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ დემოკრატიის წინააღმდეგ არ წავლენ.

**დონის როსტოვი.**

**რას ფიქრობენ ყაზახები.**

დონის როსტოვში ყაზახები თანახმა არიან, მხარი დაუჭირონ ერთფეროვან სამინისტროს, თუ ამ სამინისტროს შემადგენლობაში ბოლშევიკები არ შევლენ.

**თ ბ ი ლ ი ს ი.**

მდგომარეობა უცვლელია. გამოსვლები არ მოხდება.

**ქ. ბ ა ქ ო.**

ქ. ბაქოში უკვე სიწყნარეა. მცხოვრებნი გამოსვლებისაგან უზრუნველყოფილნი არიან.

**ქ. ბ ა თ ო მ ი.**

ქალაქში სიწყნარეა. არავითარი ექსცესები არ მომხდარა.

---

# რუსეთის რესპუბლიკა.

პეტროგრადის სააგენტოდან დეპეშები არ მიგვიღია.

დაგვიანებული დეპეშები.

**გაფიცვა გემებზე.**

**ოდესა.** ოქტომ. 25. მეზღვაურთა გაფიცვის გამო ნიკოლაევსა და ხერსონის შუა სამგზავრო მიმოსვლა შესწყდა.

---

## ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა საყურადღებოთ.

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა პრეზიდიუმი უმორჩილესათ სთხოვს თანამოაზრე სტუდენტებს და აბიტურიენტებს განურჩევლათ სქესისა, თავიანთი მისამართები დაუყონებლივ შეატყობინონ პრეზიდიუმს შემდეგი მისამართით: кутаисъ Редакція „чвени квекана"

Ст. вик. Абсадзе.

---

**ფაბრიკების ძალით ხელში ჩაგდება.**

**მოსკოვი.** ოქტომ. 25. იურახოვის, განზენის, ბალეკეროვის, გრინბაუმისა და სხვების ქარხნები მუშებმა ძალით ჩაიგდეს ხელში, ადმინისტრაცია გარეკეს და დარაჯები დააყენეს, რომ საქონელი არ გაზიდონ.

**ტყეების კაფვა.**

**კალუგა.** ოქტომ. 25. სიხაზინო და კერძო მესაკუთრეთა ტყეებს გლეხები თავდაუჭერელად ჰკაფავენ.

მიდგენილები. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა უქმდება. ეკონომიურ ხასიათისა და სახელმწიფო დაწესებულებების შესახებ შეთანხმებისათვის შესდგება საგანგებო კომისია.

# არჩევნებისთვის.

პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დღევანდელ აუტანელ პირობებში აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

გარდა ამისა უკვე კარს მოგვადგა დამფუძნებელ კრების არჩევნები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოვალეა არჩევნებში ენერგიული მონაწილეობა მიიღოს, რათა შეაძლებინოს ხალხს, გამოსთქვას თავისი მისწრაფება: საქართველოს თავისუფლება და ისეთი წესწყობილების დამყარება, რომელიც ჩვენი ხალხის ინტერესებს არსებითად შეეფერება.

საარჩევნო კომპანიის გაწევა პარტიისაგან მეტად დიდ ნივთიერ სახსარს მოითხოვს.

ამისთვის მივმართავთ პარტიის ყველა წევრს და თანამგრძნობს, შემოიტანონ პარტიის კასაში შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი.

1) ბ-ნ ივანე პურადაშვილთან ახოვდონის კომერციულ ბანკში.

2) გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში, თბილისის ქ; ს. მიქელაძის სახლი.

გასწიეთ ყველგან აგიტაცია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოდ!

ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს! ყოველი შემოწირულება, რა რიგ მცირედიც არ უნდა იყოს იგი, საერთო საქმისათვის მეტად ძვირფასია.

**ქუთაისის კომიტეტი საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა**

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**დამფუძნებელი კრებისათვის** ბაქოდან და განჯიდან შუამდგომლობა აღძრეს დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წინაშე მოუმზადებლობის გამო არჩევნების გადადების შესახებ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დეპეშით აცნობა მათ, რათაც უნდა დაჯდეს, მოახდინონ არჩევნები 12 ნოემბერს, ვინაიდან კომისიას არა აქვს არჩევნების გადადების უფლება. კომისიამ უკვე გაუგზავნა ბაქოში და განჯაში არჩევნებისთვის საჭირო მასალები და მოუწოდებს მათ ყოველიგე საშუალებით შეეცადონ, რომ არჩევნები მოხდეს დანიშნულ დროზე.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ მიიღო რამდენიმე ცნობა სხვადასხვა ადგილებიდან ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ. ბაქოს გუბერნიაში, ჯევახის მაზრაში, ამომრჩეველთა რიცხვი უდრის — 9,710, იაკჩაის მაზრაში—43,151, ზაქათალის ოლქში, ოლგბადის რაიონში— 6,982, ბელოკანის რაიონში—9,286, ჯევახის რაიონში— 8,730, მუხანის რაიონში—58,838 ანმანის რაიონში--2,977 კახის რაიონში --3,547, ზაქათალის რაიონში- 1,088 ქუთაისის მაზრაში--65,000, (ქ. ქუთაისში—34,682), შორაპნის მაზრაში—88,000, ლეჩხუმის მაზრაში 32,000 ზუგდიდის მაზრაში— 52,000, რაჭის მაზრაში—30,000 ქ. ფოთში—6,000.

✦ **ქ. ქუთაისში.** დამფუძნებელი კრებისათვის პოლიტიკური პარტიები სამზადისს უკვე შეუდგნენ. არჩევნების მომწყობ საგუბერნიო და სალაქო კომისიებში მუშაობა სწარმოებს ბიულეტენების და კონვერტების დასამზადებლათ, რაც ამ დღეებში დასარიგებლათ დაიგზავნება სხვა და სხვა რაიონებში. არჩევნები ბულილებლათ 12 ნოემბერს მოხდება.

✦ **ქართველ მხედართა კავშირის გარშემო.** ქართველ მხედართა კავშირის ქუთაისის კომიტეტი ამ ბოლო ხანებში მუშაობას უფრო ენერგიულათ შეუდგა. კომიტეტმა გადასწყვიტა იყოლიოს თავისი წარმომადგენლები სხვადასხვა რევოლუციურ ორგანოებში. კომიტეტმა სხვათა შორის თავის წარმომადგენლებათ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტში აირჩია პრაპ. ახვლედიანი და ჯარის-კაცი კვირიკაძე.

✦ **ბათომის ოლქის და ოზურგეთის მაზრის სახალხო მასწავლებელთა კრება.** 5 ნოემბერს, დ. ლანჩხუთში შესდგა ბათომის ოლქისა და ოზურგეთის მაზრის სახალხო მასწავლებელთა საერთო კრება. კრებამ იმსჯელა სარაიონო ინსპექტორების არჩევის შესახებ და სრული ნდობა გამოუცხადეს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს. მხოლოდ აზრი გამოითქვა, რომ ბათომის ოლქსა და ოზურგეთის მაზრას ერთი ინსპექტორი ვერ გასწვდება და საჭიროდ სცნეს, რომ ამ რაიონებისათვის აერჩიათ კიდევ მეორე ინსპექტორი, რომელნიც შეთანხმებით იმუშავებდენ. თავის მხრით მეორე ინსპექტორის კანდიდატურათ წამოაყენეს ილია ფერაძე (ერ. დემოკრატი).

✦ **მოწაფეების გაფიცვა.** როგორც დ. ლანჩხუთიდან გვატყობინებენ ადგილობრივ პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის მოწაფეები გაიცვლან და ერთი კვირაა სასწავლებელში არ დადიან, რადგანაც ამ სასწავლებელში დაუნიშნავთ, მოწაფეების აზრით, არასასურველი მასწავლებელი. ასეთივე გაფიცვა მოუხდენიათ მოწაფეებს ბათომშიდაც.

✦ **თეატრი** დღეს, 8 ნოემბერს, ქალაქის თეატრში ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „მშობლიურ ჭერ ქვეშ". დრამა 4 მოქმედებათ. თარგმანი ვ. გუნიასი.

✦ **ჯანმრთელობის კომისიაში.** ქალაქის ჯანმრთელობის კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ვ. წერეთელი, მის ამხანაგათ კი გ. ნასარიძე.

✦ **საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში.** 6 ნოემბერს მოხდა ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის კრება. კრებაზე არჩეულ იქმნა 4 სარაინო ინსპექტორი: ილია ფერაძე, ჰუმბურიძე, ანთელიძე და თამბუკაშვილი. აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია აგრეთვე მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სასწავლებლიდან არჩევნების მოახლოების გამო მოწაფეები დაითხოვონ. კრებამ ასეთი მოქმედება პედაგოგიური საბჭოებისა არა სასურველათ დაინახა და გამოითქვა სურვილი რომ სწავლა დაუყონებლივ განახლდეს იმ სასწავლებლებში სადაც ეს დღეს შეწყვეტილთა.

✦ **პური.** დღეიდან ქუთაისში პური ბარათებით გაიყიდება. ის პირები ვისაც დღემდის ბარათები არ მიუღიათ პურს ვერ იყიდიან.

✦ **ფეხსაცმელების ტყავეულობა.** ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო სასმართველოს თავმჯდომარის ამხანაგი გრიგოლია თუ კიდე გაემგზავრა თბილისის ფეხსაცმელების ტყავეულობის შესაძენათ. სულ უნდა იყიდოს 2,000 ფუთი ტყავი. ამისთვის სასურსათო სამმართველომ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკიდან ისესხა 1500,000 მანეთი, რომელიც თბილისს უკვე გადაგზავნა.

✦ **დაფნის ფოთოლი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ქ. ახალ-სენაკიდან ატყობინებენ, რომ იქ იშოვება 80.000 ფუთი დაფნის ფოთოლი. ფუთი დაფნის ფოთოლი ფასობს 80 დან 85 მანეთამდის.

✦ **42,030 მანეთის გადაგზავნა.** სასურსათო კომიტეტმა როსტოვს ტყავეულობის შესაძენათ გაგზავნა 42,030 მანეთი.

✦ **ქალაქის სამკითხველოში.** ქალაქის სამკითხველოს გამგე სთხოვს ქალაქის გამგეობას [illegible] იქმნას სამკითხველოს მოსამსახურეთა შტატი.

✦ **ქალაქის ჯანმრთელობის კომისია** [illegible] დაადგინა: 1) [illegible] ქუჩებში უპატრონოდ დახეტიალობს ძროხები, ღორები, და ძაღლები, რომელნიც ქუჩებს აბინძურებენ, ამისთვის დანიშნოს განსაკუთრებული კაცები რომელნიც უპატრონო ძროხებსა, ძაღლებსა და ღორებს დაიჭერენ, 2) ხილი ქუთაისის ქუჩებში იყიდებოდეს მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებს.

✦ **ახანთის მიღება.** დათიკო ქებაძემ ქ. ფოთიდან მიიღო 3 ვაგონი ახანთი და ერთი ვაგონი საპონი „სოდა".

✦ **დასავლეთ საქართველოს საშვალო სასწავლებლების** მასწავლებელთა კავშირის გამგეობის ბიურო მოთავსებულია რეალური სასწავლებლის შენობაში, სადაც შეიძლება ყოველგვარი ცნობების მიღება ამ კავშირის თავმჯდომარე ივ. გაჩეჩილაძესთან.

✦ **ქურდობა.** 6. ნოემბერს, ბალახვანის ქუჩაზე, ლოსაბერიძის შესახვევში ბოროტგამზრახველებმა გატეხეს ქებაძისა და ახვლედიანის ოთახები. წაიღეს სხვა და სხვა ტანსაცმელი სულ 1200-მდე მანეთად ღირებული.

✦ **ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადეთ,** რომ ჯარის კაცი სარდიონ ზურაბის ძე ცერცვაძე მსახურობდა ავსტრიის ფრონტზე 27 ბრიგადის 159 პოლკის მე-4-როტაში 1916 წელს 15 სეკტემბრიდან მისგან არავითარი ამბავი არა ვიცით რა. ამისთვის უმორჩილესად ვთხოვთ, როგორც უფროსებს, ისე მის ამხანაგ ჯარის-კაცებს, თუ რამე იციან მის შესახებ მაცნობონ შემდეგი მისამართით; საჩხერე, სოფელი კორბოული სიმონ ზურაბისძე ცერცვაძე-

✦ დავკარგე პორტმანი, რომელშიც იყო 6 მანეთი და სამხედრო ბეგრის მოწმობა. მოწმობა მიცემული იყო სიმონ ნიხეილისძე წულუკიძის სახელზე და ვადა აქვს 1918 წ. 12 იანვრამდის. მნახველს ვთხოვ ფული დაიტოვოს და სამხედრო ბეგრის მოწმობა დასტოვოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის წყალგაღმა უბნის ბიუროში, ლოლობერიძის სახლში.

✦ ქ. ფოთი. 15 ნოემბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ქალაქის პლანტაციის დაფნის ფოთოლი.

---

დაწყევას და დაჭრას უპირებენ საქართველოს, საზღვრების მთლიანობის, საქართველოს სრულ-უფლებიანობის მომხრე მხოლოდ № 8 არის.

---

**ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს გადაწყვეტილება.**

1917 წ. 5 ნოემბერს, ქუთაისის ვაჭარ მრეწველთა საზოგადოების საბჭომ მორიგ სხდომაზე გაარჩია ორი ფრიად მნიშვნელოვანი კითხვა:

1) როგორი მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში და

2) როგორ დაეხმაროს ქართულ სამხედრო კავშირს ქართულ პოლკების დაარსებაში?

მცირე განხილვისა და განმარტების შემდეგ, ერთხმად დაადგინა:

1) ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭო საჭიროდ სცნობს, რომ ყოველმა წევრმა ამა საზოგადოებისამ გულ მხურვალეთ მხარი დაუჭიროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას № 8, ვინაიდან ეროვნულ დემოკრატიული პარტია იცავს კერძო საკუთრებას, საქართველოს სრულ ავტონომიის და საქართველოს მთლიანობას. ამ აზრის გასავრცელებლად საბჭომ აირჩია განსაკუთრებული კომისია.

2). ქართველ სამხედრო კავშირს ქართული პოლკების დასაარსებლად დაეხმაროს ნივთიერად და ამ მიზნისათვის გამართოს ხელის მოწერა თავის წევრთა შორის. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების საბჭო მომავალ ქართველ ლაშქარში ხედავს საქართველოს სხვა და სხვა მტერთაგან და ბოროტ-მოქმედთაგან მხსნელ ძალას.

## სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი.

**ყაზახთა ჯარების კავკასიელ მთიელების და ტრამალის თავისუფალ ერებისა**

ამას წინად კავკავში სამხრეთ აღმოსავლეთ ოლქების წარმომადგენელთა კონფერენცია დასრულდა.; კონფერენციაზე შეიმუშავეს და შეჰკრეს შემდეგი საკავშირო ხელშეკრულობა:

„ჩვენ, ყაზახთა ჯარებმა, კავკასიის მთიელებმა და ტრამალის თავისუფალ ერებმა შევკარით ჩვენს შორის კავშირი იმ მიზნით, რომ ხელი შევუწყოთ უმშვენიერეს სახელმწიფოებრივ წესწყობილების გარეშე უშიშრობას და რუსეთის სახელმწიფოში წესიერების დამყარებას აგრეთვე კავშირის წევრთა ხელშეუხლებლობის უზრუნველსაყოფად, შინაგან სიმშვიდის დასაცავად, საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად და რევოლუციით მოპოვებულ თავისუფლების განსამტკიცებლად.

1 მუხლი. კავშირში შედიან დონის, ყუბანის თერგის და ასტრახანის ყაზახთა ჯარები კალმიკელები, კავკასიაში შემდეგი მთიელები და ტრამალის ერები: ა) დაღესტნის ყველა ერები (ავარები, დარღელები, ლეკები იგივე ყაზი-ყუმიკები, კიურინელები, ყუსიკები, ტაბასარანლები და სხვა) და ზაქათალის ოლქის ლეკები, ბ) თერგის მხრის ყველა მთიელები (ყაბარ ყუბიკებე, ბალკარელები, ოსები, ინგუშები ჩეჩნები, ყუმიკები, სალატაველები; გ) ყუბანის მხრის ყველა მთიელები (ყარაჩაველები, აზიზინელები, ჩერქეზები, ნოგაელები და სხვები; დ) სოხუმის ოლქის მთიელები (აფხაზები); ე) თერგის მხრის ტრამალის ერები (ნაგაიელები და ყარანოგაიელები) და სტავროპოლის გუბერნიის (ნოგაიელები და თურქმენები).

მუხლი 2. კავშირის წევრთა ტერიტორიას შეადგენენ ის ადგილ-მამულები რომლებიც პირველ მუხლში მოყვანილ ყაზახთა ჯარებს, კავკასიის ქალაქებს და ტრამალის თავისუფალ ერებს ეკუთვნის.

მუხ. 3. კავშირს ეწოდება „ყაზახთა ჯარების, კავკასიის მთიელების და ტრამალის თავისუფალ ერთა სამხრეთ აღმოსავლეთის კავშირი“.

მუხ. 4. კავშირის თვითეული წევრი სრულიად დამოუკიდებელია თავის შინაურ ცხოვრებაში. მას უფლება აქვს თავისუფალი ხელშეკრულება თუ კავშირი იქონიოს სურვილებისამებრ, მხოლოდ მისი მოქმედება კავშირის მიზნებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

მუხლ. 5. კავშირი მიზნად ისახავს: ა) რუსეთის დემოკრატიულ-ფედერატიულ რესპუბლიკის დამყარებას და კავშირის წევრთა მის ცალკე შტატებად აღიარებას, ბ) ყოველ მხრივ დახმარება სხვა ერებისა და ოლქებისადმი.

---

დაიცავით კერძო საკუთრება. ხმა მიეცით № 8.

---

## ეკრანი.

კინემატოგრაფი ცხოვრებაში შევიდა, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა და მიიზიდა ათასი ინტელიგენტი მუშა ხელი.

კინემატოგრაფის ფართო ცხოვრებას დიდმა ქალაქებმა ვერ მისცეს საზღვარი, ამ „მუნჯი „თეატრის“ სხივები ბნელ პროვინციებშიც შეიჭრენ.

კინო რუსეთმა უცხოეთიდან ისესხა, ვიდრე თვით შექმნიდა საკუთარ ფილმებს, საკუთარი მარკებით, მდიდარი ატელიებით მდიდარი „სიომკებისათვის“.

ჩვენ რუსეთის სინემის ეკრანზე ვიცნობდით ფრანგ ძმებ პატეთა, დანიის ცნობილ „ნორდიკის“ და ამერიკის ფილმების ლენტებს, რომლებიც პირველ ხანებში ჩქარის ტემპით ვრცელდებოდენ რუსეთში და უთვალავ მაყურებლებს იზიდავდენ.

კინოთეატრმა დაიპყრო, დაიმონავა ყველა ნაწილი საზოგადოების, როგორც არისტოკრატიული, ისე დემოკრატიულიც.

კინოთეატრების გავრცელების პირველ ხანებში თეატრალურ ცხოვრების სფეროში ისმის მრისხანე პროტესტი მის წინააღმდეგ. ყველა თეატრალური ორგანოების ფურცლებზე ჩვენ ვპოულობთ მკაცრ სტრიქონებს კინოს არსებობის უარსაყოფად, მაგრამ კინოთეატრს თავისი მისია ჰქონდა და აქვს, ის ჯერ კიდევ ძიების და განვითარების გზაზე დგას, როგორც

# დათესეთ პური,
# დაზარდეთ ფრინველი
# და ოთხფეხი საქონელი,
## რადგან მსოფლიო შიმშილისა და გზების გაფუჭების გამო ჩამოტანის იმედი არ უნდა იქონიოთ.

სცენაც. კინოს ფასი, ღირებულება დღითი დღე მატულობს. მის ყოფნის აუცილებელ საჭიროების მაღიარებელთა ინტელიგენტ ჯგუფის წევრთა რიცხვი დღეს დიდია. დასცხრენ თვით მეპროტესტე თეატრალური ორგანოები: ,,Романъ и жизнь'', „Театръ и искуство“, „Кулисы“, „Театральная газета'', Сцена и экранъ'', Искуство'' და სხვები. დღეს ასეთ კილოზე ისმის მათი დახასიათება და კრიტიკა ეკრანის მნიშვნელობაზე. მაგრამ საფუძვლიანი იყო პირველი უარისყოფა სინემას ლენტების. მეტად მკრთალი და სუსტი იყო პირველი სახე, ფერი და შინაარსი უცხოელთა ფილმების მიერ გამოცემულ სურათებისა. ამ სურათებში იყო წმინდა ფოტოგრაფია, მშვენიერი ბუნება, მდიდარი დეკორაცია, ტეხნიკურად ძნელად შესასრულებელი ყოველგვარი ტრიუკები, მრავალი სასაცილო ელემენტები, მაგრამ შინაარსი, სული სურათების აღარ იყო. კინოდრამები: ,,Любовныя похожденія г-жи В.'', ,,Ночныя приключенія холостяка'', ,,между подлогомъ и преступленіемъ'', ,,Смерть на рельсахъ'' და სხვები, ყველა ეს აღნიშნული სურათები იმას მოწმობენ, რომ დასაწყისში ფილმები სურათების შინაარსს და მხატვრულ პერსპექტივებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ, რაც, უეჭველიე ხელოვანთა წრეში გაკიცხვას იწვევდა. მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე დგას განვითარებული ეკრანი, ახალი სახის მატარებელი კინო, რომელსაც მხატვრული შემოქმედებითი მხარე და შინაარსი სურათებისა დაუსვამს პირველ ადგილზე. დღეს ეკრანი ხელოვნებას ემსახურება, დღეს ეკრანზე ახალი სიცოცხლე სცემს. მდიდარი ფილმები, შინაარსიანი სურათები, ცნობილი რეჟისორესი, საუკეთესო ძალები რუსეთის სცენის – აი სწორედ ეს არის ახალი სახე, ახალი სიცოცხლე ეკრანის. „ხანჟონკინის'', ,,ხარიტონოვის'' ,,ერმოლიევის'' ფილმები ხომ მთელ რუსეთში ცნობილია ,,ბაუერი, ჩარდინინი, ბონჩ-ტომაშევსკი, მეიერხოლდი, მაქსიმოვი''—ესენი ხომ ცნობილი რეჟისორებია, რომელთა ხელმძღვანელობით აღნიშნული ფილმები ,,სიომკებს'' აწარმოებენ. ამავე ფილმებში მუშაობენ რუსეთის სცენის საუკეთესო ძალები: კორალლი, ჩინდინა, ლისენკო, კარაბანოვა, გზოვსკაია, ვერა ხალოდნაია, ჩიტორინა, ბარანცევიჩი, ტერეკი, ვედრინსკაია, კლეო. კარინი, პლევიცკაია, შალიაპინი, პევცოვი, მაქსიმოვი, მოზჟუხინი, პოლონსკი, ხუდოლეევი, რუნიჩი, პანოვი, რიმსკი, ხმარა, გაიდაროვი, სვობოდა. ვოლკოვი, და მრავალი სხვები. აი, თქვენ იხილეთ სურათები დასახელებულ ძალთა მონაწილეობით და დარწმუნდებით, რომ ეს ,,მუნჯი თეატრი'' თქვენი ესთეტიური გემოვნების დამაკმაყოფილებელი იქნება და არა გამრყვნელი, როგორც ეს ზოგიერთებს ახლაც ჰგონიათ. ვისაც უნახავს ეკრანზე იტალეთის სცენის სიამაყე ფრანჩესკო ბერტინი, ან პინა მინიშელლი, ვისაც უნახავს რუსეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ქალი გზოვსკის ასული სიყვარულით დაპყრობილ მონაზონის როლში, ვისაც უნახავს მოზჟუხინის ცრემლი შანტანის კაბინეთში ცოლთან შეხვედრის დროს, ის არასოდეს არ იტყვის რომ ეკრანი გამყვრნელია გემოვნებისა. ქართული ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრების'' 1916 წლის ნუმრებში მოთავსებულია ვ. გარრიკის წერილი სათაურით ,,კინემატოგრაფი და თეატრი'', რომელშიც ავტორი მკაცრ უარისმყოფელად გამოდის კინოსი. ეს იყო 1916 წ. ახლა კი 1917 წელია, არ ვიცი, იქნებ ამხანაგ გარრიკმა ერთი წლის განმავლობაში შესცვალა აზრი ეკრანზე, მაგრამ მე მინდა შევეხო არსებითად მის სასტიკ კრიტიკას ეკრანის მნიშვნელობაზე.

ვ. გარრიკი სრული რწმუნებით ადასტურებს თავის აზრს, რომ კინემატოგრაფი „გარყვნილი გემოვნებაა“ შემდეგი მოსაზრებით: „კინემატოგრაფს არ შეუძლიან, თუ ნამდვილი ესტეტი ხართ, თქვენი ესტეტიური მოთხოვნილება დააკმაყოფილოს; არ შეუძლიან იმიტომ, რომ თქვენ იქ ხედავთ სიყალბეს და არა ბუნებრივობას; თქვენ ხედავთ სიტლანქეს და არა სინაზეს; თქვენ ხედავთ დამახინჯებულ სურათებს, რომელსაც არ შეუძლიან თქვენი ცხოვრების სინამდვილის გამოხატვა, რადგან იგი არ არის ორიგინალი, არ არის ცოცხალი სურათი. უსულო ტილოზე ნაჩვენები უსულო სურათი თქვენზე ვერ მოახდენს შთაბეჭდილებას, ვერ მოახდენს იმიტომ, რომ სიცოცხლე არ სჩქეფს თქვენს წინ. **თქვენს წინ არ არის ნამდვილი მსახიობი შემოქმედი, არ არის მისი გულწრფელი განცდა, ვერ ხედავთ მის სულიერ თრთოლვას, ვერ ხედავთ მის ემოციას, რადგან მთლად იკარგება მისი პათეთიური მღელვარება და ამიტომაც თქვენს ნებისყოფასაც ვერ ააშფოთებს''.** ასეთი სიტყვებით ახასიათებს ამხ. ვ. გარრიკი კინოთეატრის დანიშნულებას. მაგრამ ამ დახასიათებაში ჩვენ მხოლოდ მშრალი სიტყვები გვესმის და რატომ არის იგრე, ე. ი. რატომ არის კინემატოგრაფი გარყვნილი გემოვნება, ამის საბუთად ვერაფერს ვხედავთ. სიტყვები ჩვენთვის საკმარისი როდია; შეხედულებას აზრს რეალი, ჭეშმარიტი დასაბუთება უნდა. მაგრამ გავარჩიოთ ვ. გარირიკის კრიტიკა. „კინემატოგრაფს არ შეუძლიან თქვენი ესთეტიური მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, არ შეუძლიან იმიტომ, რომ თქვენ იქ ხედავთ სიყალბეს და არა ბუნებრივობასო“, სწერს ამხ. გაარიკი. ჩვენ არ ვიცით, რომელ სიყალბეზე მსჯელობს ავტორი?! მან უნდა იცოდეს, რომ სურათების დემონსტრაციის დროს, როგორც თეატრში, მაყურებელი ივიწყებს ყოველივეს, და მთელი მისი არსება, ყურადღება მიპყრობილია იმაზე, თუ რა ხდება ეკრანზე, როგორ სურათებს და როგორი შინაარსს გვაძლევს „სიომკები“. ასე რომ ჩვენ ვივიწყებთ იმ თეთრ ტილოს, რომელსაც სურათების ჩვენებამდე ვხედავთ. შემდეგ, ნუ თუ არა ბუნებრივია ყოველივე ის, რასაც სურათებში ვხედავთ? უნდა იცოდეთ, რომ „სიომკები“ თვით ბუნების წიაღზე ხდება, ნამდვილ მთაზე, ზღვასთან, მდინარესთან, მინდორზე, სადგურზე. სახლში. თეატრში და სხვაგან. თუ ბუნებრიობაზე იქნება მსჯელობა, აქ შეუძლებელია ბუნებრივობის უარისყოფა. ავიღოთ გაბრიელ დ'ანუციოს ისტორიული დრამა „კაბირია“, რომელიც ლენტებზე გადაიღო „იტალ.-ფილმამ“ აქ ხომ მოქმედება რეალურია, ხომ არის ნამდვილი ძველი ნანგრევები, ძველი ციხე, რომლის ფანჯრის ნამდვილ რკინებს ღუნავს თვისი სხეულის და მუსკულების ძალით მსახიობ-გმირი მაცისტი; გარდა ამისა როგორის სინამდვილით არის დაცული ძველი, სტილის ტანისამოსები რომაელთა. ყოველივე ამის და საერთოდ „კაბირიის“ სცენაზე განსახიერება შეუძლებელია. ვერც მივიღებთ თეატრში სა-

პირო სიამოვნებას, რომელსაც ეკრანი გვაძლევს ამ მეტად ძვირფასიანი ლენტის დემონსტრაციით.

,,ხედავთ სიტლანქეს და არა სინაზეს'' –მე მგონია, შეუძლებელია სიტლანქეზე ლაპარაკი კინოთეატრში. ნუ თუ სურათები: „Лунная красавица“, Королевская тигрица, „На алтарь красоты“, „У камина“, სიტლანქით არიან სავსენი? არა, ამხ. გარრიკო, შევიძლიათ ყველაფერი მიაწეროთ ეკრანს, მაგრამ სილამაზეს, სინაზეს მას ვერ მოსტაცებთ, ვერ წაართმევთ. მით უმეტეს, რომ ცნობილი რეჟისორები ბაუერი და ჩარდინინი პირველი მტრებია ყოველგვარი სიტლანქის. ,,თქვენ ხედავთ დამახინჯებულ სურათებს, რომელსაც არ შეუძლია თქვენი ცხოვრების სინამდვილის გამოხატვა, რადგანაც იგი არ არის ორიგინალური, არ არის ცოცხალი სურათი''—ბუნდოვნად არის ნათქვამი, „დამახინჯებული სურათი“, იქნებ დამახინჯებული ორიგინალი აქვს მხედველობაში ავტორს, მაშინ გიპასუხებთ, რომ ლეონიდ ანდრეევის „Тот кто получаетъ пощечины“, სენკევიჩის „Камо грядеши?“, დოსტოევსკის „Преступленіе и наказаніе“ და ტურგენევის „Наканунѣ“—ყოველგვარ დამახინჯების გარეშე დგანან. წაიკითხეთ თვით ანდრეევის აზრი თვისი დრამის დადგმის შესახებ. თქვენს წერილში ერთ ადგილს ამბობთ „დანაშაული და სასჯელი“-ს შესახებ და აღნიშნავთ მხოლოდ ორლენევის კლოუნის მსგავსებას, ნაწარმოების „ინსცენიროვკაზე“ კი ხსენებაც არ არის, ვხსნი იმით, რომ მოგწონთ და აქაც ორიგინალის მახინჯობაზე სიტყვა მეტი იქნება. მჯერა, ტურგენევის „Наканунѣ“ გინახავთ ეკრანზე, მე მგონია თვით ტურგენევიც ისეთი კმაყოფილი იქნებოდა თავისი ნაწერის „ინსცენიროვკით“, როგორც ანდრეევი. „Наканунѣ“ ხომ სახეა რუსეთის ხალხის ყოფისა, და სწორედ ეს საპირო სინამდვილე ღირსეულად არის დაცული სურათში, თვით დეტალებიც აშკარაა ეკრანზე გამოცდილი რეჟისორის ხელის წყალობით.

**მ. ღვამიჩავა.**

(დასასრული იქნება).

---

## პასუხი.

**ბ. ბ. ს. რამიშვილს და ლ. ყენიას.**

მე წავიკითხე გაზ. „სოციალდემოკრატი“-ს 174 №-ში თქვენი ჩემდამი მიმართული წერილი, სადაც სამედ. სამართალში მიწვევთ.

საკვირველია! როგორ გეტყობათ თავმაღლობა, თავაწეული სითამამე თქვენის ესდეკთა პარტიაში **მყოფობით!** თავი უცოდველ პაპათ გაქვთ წარმოდგენილი და მიტომ თქვენკენ ცივს ნიავს არ უშვებთ! სხვისგან, შენიშვნას შეურაცხყოფათ ღებულობთ! რატომ ფიქრობთ: თქვენ მართალი და სხვა მტყუანი? უსუსურობაა.

რამდენს შეცდომა მოუვა და ჩვენ შესწორებას შევიტანთ, იმდენი რომ სასამართლოში ვიაროთ, ხომ სხვა; ყველაფერი საქმე უნდა დავსტოვოთ?! მაგრამ, კარგი, დაგეთანხმებით, მხოლოდ საქმე შემდეგშია: მე სოციალისტი არ გახლავარ და ვერც სოციალისტურ აზრებს ვიზიარებ სავსებით. ამიტომ ჩემი წერილი ეხებოდა ყველა სოციალისტთა პარტიის მსოფლმხედველობას. ალბათ თქვენ, როგორც „ჰარბი სოციალისტები“ ამან შეგაშფოთათ. გისრულებთ ნებას შემდეგის პირობით: გასამართლების დროს თქვენ უნდა იქონიოთ ვექილობა ყველა ჩვენში მოქმედ სოციალისტთა პარტიისა, რადგან ყველას მაგიერ თქვენ გსურთ გამოხვიდეთ. ეს ერთი. მეორე-პირობათ თქვენ გაძლევთ ჩემი წერილი შემდეგში: მე გამოვყოფ ჩემს თქვენსთვეში ვაცხარებული ხახლის მუშაობის დროს კრების მოწვევას, მაშინ როდესაც თქვენ, რადგან მაშინ საზოგადოება ყურადღების დროს არ მოიწვიეთ, ეს კრება უნდა მოგეწვიათ კვირაობისთვეში, როცა მუშა უფრო თავისუფალია. თქვენ ამას „ცილის წამებას“ უძახით და „შეთითხნილ ჭორებს“, და ამ უკანასკნელისთვისაც თუ მიწვევთ, ინებეთ. მაგრამ განაჩენი ასეთი იყოს: მტყუანი გადიხდის თითოეული ათ-ათ თუმანს საჭამია სერის სკოლისა და ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ. გარდა ასეთი პირობისა არავის სასამართლოში არ გავყვები. ჩვენ ასეთი მუქარები ვერ შეგვაშინებს, ჩვენი რწმენიდან ვერ გადაგვახვევინებს და ყოველთვის ვიტყვით ჩვენს შენიშვნებს, ვისზედაც უნდა იყოს იგი, უკეთუ მათი მოქმედება, ჩვენი ერისა და მუშთა დამაბრკოლებლათ ვსცანით და ამისთვის ნურას უკაცრავათ.

**თხილამური**

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

მოწ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის „ჩვენი ქვეყნის“ მახლობელ ნუმერში შემდეგი მოათავსოთ:

ამ რამდენიმე ხნის წინათ მე კავკასიის სამხედრო უწყებიდან ნებართვა ავიღე, რომ შემედგინა მუშათა რაზმი, იმ პირთაგან, რომლეთაც სამხედრ-ბეგარა ეხება, ბაღდადის რკინის გზაზე სამუშაოთ. როგორც გავიგე, აღმოჩენილა ისეთი ბოროტე პირები, რომელნიც თურმე პირდებიან სხვადასხვა პირებს, რომელუთაც სამხედრო ბეგარა ეხებათ, ამ რაზმში ჩაგწეროთ და ქრთამს ახდევინებენ. ვაცხადებ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამ რაზმში ჩაწერა ყველას შეუძლია და ასეთ ბოროტ პირებს ყურადღებას ნუ მიაქცევენ და ფულს ტყვილა უბრალოთ ნუ გადაიხდიან. მსურველთა ჩაწერა ყოველთვის შეიძლება დ. ბაღდათში, მუშათა რაზმის კანცელარიაში.

**ბაღდათის მუშათა რაზმის უფროსი.**

**პრაპორშჩიკი ა. ერისთავი.**

—

P. S. ვსთხოვ სხვა ქართულ გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

**პრ. ა. ერისთავი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

---

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |

---

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

---

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12 1/2 —2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

სტამბა „შრომა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში